თამარ გელაშვილი

NOTHING REAL

მოქმედი პირნი:

სალომე
ლაშა
ლევანი
უჩა
ანი
გიორგი

I მ ო ქ მ ე დ ე ბ ა
I ს უ რ ა თ ი
(ავტოტრეკი)

სალომე: ლევან, თავს გაუფრთხილდი. აბა შენ იცი. მთავარი პირველი ადგილი ხომ არაა, მთავარია ცოცხალი და ჯანმრთელი იყო.
ლაშა: მართალი ხარ სალი, აბა ლევან ძმაო შენ იცი. ჩვენ გიბალელშიკებთ.
ლევანი: მადლობთ, მაგრამ მე პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებ. სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს ეს რბოლა უნდა მოვიგო.
სალომე: ამ რბოლას თავს ნუ შეაკლავ რაა.
ლაშა: აბა ძმაო შენ იცი, მიდი ჩაჯე მანქანაში და გაზს მიაწექი.
სალომე: ლაშა . . .
ლაშა: მაპატიე ხო კაი
ლევანი: ჩემზე არ ინერვიულოთ, იბსენის პიერ გუნტის ერთერთი პერსონაჟი გახსოვთ რას ამბობს ? თუ მთავარი გმირი ხარ, მეოთხე აქტის შუაში ვერ მოკვდებიო. ხოდა ჩემთანაც ეგრეა, მთავარი გმირი ვარ ხოდა ვიცოცხლებ პიესის ბოლომდე.
(ჯდება მანქანაში)
უჩა: ერთი ამათ უყურე, არ გაუვიდათ თავს მართლა და მართლა, დადიან აქ თავის ჭკუაზე და რასაც უნდათ იმას აკეთებენ. მაცადე ლეო რა გიქნა, რაც არ უნდა იფხაკურო ბოლო სიტყვა მაინც ჩემია.
(რბოლა იწყება)
სალომე: (კივის) ლევანი, ლევანი, ლევანი . . .
ლაშა: რა მოხდა ?
სალომე: ლევანის მანქანა დაილეწა, ლევანი მოკვდა, მოკვდა, მოკვდა . . .

ლაშა: (ჩაიხუტებს) დაწყნარდი სალი, დაწყნარდი ! ! !
სალომე: აკი მთავარი პერსონაჟები არასდროს კვდებიანო ? ვინ თქვა ეს აბსურდი ? ვინ ?
ლაშა: მთავარი გმირები არასდროს კვდებიან, არასდროს
სალომე: თავი დამანებე, მომწყდიო თავიდან, ლევანი, ჩემი ლევანი მოკვდა.
(გარბის)
ლაშა: რაო სცენარისტო, გაგისწორდა რაც დაატრიალე ?
უჩა: ხო კარგად მოვიქეცი .
ლაშა: რა ახვარი ხარ ! ჩვენ რა ცოცხლები არ ვართ ? ჩვენ რა არ გვიყვარს ? რატომ ხარ ეგეთი დაუნდობელი ?
უჩა: თქვენ გამონაგონი ხართ, გამონაგონი, ჩემი გამოგონილები ხართ და რასაც მე გეტყვით იმას გააკეთებთ. თქვენი ბედი განსაზღვრულია . იგი მე განვსაზღვრე.
ლაშა: ჩემ ბედს მე ვწყვეტ
უჩა: შენც თუ ლევანის გზას დააწვები, შენც მიგბრიდავ, არ გამიჭირდება.
ლაშა: გაგიჭირდება. ისევე როგორც ლევანის მოკვლა. რით ვეღარ ისწავლე, მთავარი პერსონაჟები არ კვდებიან, არა ! ! ! (მიდის)
უჩა: ნახე რა გიყო შე ვირიშვილო მამაძაღლო. ეს ჩემი პიესაა და ჩემ ნებას ან დაემორჩილებით ან გაგანადგურებთ. არ მომიშალეს ამ ძილის წინ ნერვები. წავედი, წავედი დავიძინო. ხვალ მოგივლით თქვენ ორს.

I I ს უ რ ა თ ი
(სალომეს სახლში)

ლაშა: სალი, სალი . . .
სალომე: რა ჭირი გინდა ამ შუაღამისას ?
ლაშა: კარგად ხარ ?
სალომე: კარგად როგორ უნდა ვიყო, ჩემი ლევანი მოკვდა, მოკვდა . . .
(ტირის)
ლაშა: სალო, სალომე გაჩერდი ! ჩვენც საფრთხე გველის თანაც ლევანზე არანაკლები.
სალომე: რას ჩმახავ ? შენ რა გაგიჟდი ?
ლაშა: არ გავგიჟებულვარ, მომისმინე . . .
სალომე: (გააწყვეტინებს) მომწყდი თავიდან, შენი ნერვები არ მაქვს !
ლაშა: ჩვენ ფანტაზია ვართ, ფანტაზია, გა-მო-ნა-გო-ნი ! ! !
სალომე: რააااااა ?!

ლაშა: რაც გაიგე ჩვენ წიგნის გმირები ვართ ! წიგნის ! რასაც უნდა იმას გვიზავს ! უნდა გავიქცეთ ! მის ხელში ვართ ! მარიონეტები ვართ , გამონაგონი წიგნისათვის !!! მორჩება წიგნი და ჩვენი ამბავიც დამთავრდებااااა ! გაიგეეე ?!
სალომე: შენ რა გააფრინე? წადი რა დაიძინე ! ეგეთი შტერობები აღარ გამაგონო !!!
ლაშა: უნდა გავიქცეთ სალო, უნდა გავექცეთ აქაურობას !
სალომე: ხო, აი შევალ ბარგს ჩავალაგებ და გავიპაროთ ! ! ! ჰაჰაჰაჰაჰა რა სასაცილოა ! (კაიფობს)
ლაშა: შენ ხომ ვერაფერს შეგაგნებინებს კაცი !
სალომე: რა უნდა შემაგნებინო ? რაღაც აბსურდი ? ხო ისედაც ვიცი რომ გამონაგონი ვარ ?!
ლაშა: აბა რით ვეღარ შეიგნე . . .
სალომე: (გააწყვეტინებს) ჩვენ ღმერთის გამონაგონი და ჩანაფიქრი ვართ!
ლაშა: არა, არა ღმერთის ჩანაფიქრი ისაა ვინც ეხლა ჩვენ გამოგვიგონა !
სალომე: შენ რა გაგიჟდი ?
ლაშა: არა, სალო ეს სიმართლეა ! უჩასთან არასდროს გილაპარაკია ?
სალომე: მაშინებ ლაშ ..
ლაშა: უნდა გავექცეთ, გავექცეთ. ეხლა უჩას სძინავს და ამიტომ არ იცის რა ხდება და რას ვგეგმავთ !
სალომე: კი მაგრამ რას გავურბივართ ?
ლაშა: ბედისწერას ! არ მსურს ვინმე სხვამ გადაწყვიტოს როგორ უნდა მოვიქცე და რა გავაკეთო. არ მინდა უღიმღამოდ ვითამაშო ჩემი როლი, არ მინდა ლევანის ნასწავლი წყალში გადავყარო ! ხომ იცი მთავარი გმირები მეოთხე აქტის შუაში არ კვდებიან ?! ლევანი ცოცხალია, მაგრამ ჩვენ თუ რამე შეგვემთხვევა ისიც მოკვდება, იგი ხომ მხოლოდ სულიერად აგრძელებს თავისი როლის თამაშს.
სალომე: მაინც ვერაფერი გავიგე ?!
ლაშა: ოხ, ეს ქალები ! კაი ხვალ გთხოვ მთელი დღე უჩას ყურადღება მიიქციე, რომ მე წყნარად მოვიფიქრო გაპარვის გეგმა !
სალომე: როგორ მე ხომ მას საერთოდ არ ვიცნობ ?
ლაშა: სამაგიეროდ ის გიცნობს. აბა შენ იცი. წავედი. ძილი ნებისა სალი. მჯერა რომ ამას შეძლებ. ასე ლეოს გამო უნდა მოვიქცეთ !
სალომე: ვეცდები. ძილი ნებისა !
(ლაშა წასვლას აპირებს)
სალომე: ლაშა, რა იქნება თუ ვერ გავიქცევით ?!
ლაშა: ჩვენ ამას შევძლებთ ! შევძლებთ სალი !
(ჩაეხუტება)
სალომე: მეშინია ლაშ, მეშინია !
ლაშა: (გულში ყავს ჩაკრული და იმეორებს) ჩვენ ამას შევძლებთ პატარა, ჩვენ ამას შევძლებთ პატარა, ჩვენ ამას შევძლებთ პატარა . . .

I I I ს უ რ ა თ ი
(დილა)

სალომე: უჩა, უჩა, უჩა . . .
უჩა: (უხეშად) რა გინდა ?
სალომე: არაფერი შენი ამბავი ვიკითხე, მაინტერესებდა კარგად ხარ თუ არა ?
უჩა: როდის აქეთია გენაცვალე ?
სალომე: კაი მაპატიე აღარ გკითხავ ! ! !
უჩა: კაი ხო მოიცა საწყენად არ მითქვამს.
სალომე: კაი წავალ ეტყობა ჩემთან ლაპარაკი არ გინდა !
უჩა: როგორ არ მინდა ? აბა საიდან მოიტანე ?
სალომე: კაი როგორც ხედავ გაცდენ. წავალ მე . . .
უჩა: არა, დარჩი . . .
სალომე: იყოს . . .
უჩა: გინდა შევხვდეთ ?
სალომე: როდის ?
უჩა: როდის და დღეს სარამოს HARD ROCK CAFÉ-ში.
სალომე: რომელში? რუსთაველზე თუ ჭავჭავაძეზე ?
უჩა: რომელი გირჩევნია ?
სალომე: რუსთაველზე.
უჩა: აბა საღამომდე, წავედი მოვეწყობი. არ მინდა შენზე ცუდი შთაბეჭდილება დავტოვო ! ! !
სალომე: მეც მოვემზადები
. . . . . .
სალომე: ჰა, მგონი დავითანხმე, ლაშას საკმარისად ექნება დრო, რომ ჩვენი გაპარვის გეგმაზე იფიქროს !
. . . . . .
უჩა: ეს სალომე მაგარი ნაშაა, მაგის დაკარგვა არ იქნება ! მგონი არ აპირებს ჩემი ნერვების მოშლას. მარტო ლაშას მოვუვლი ! კაი ლასას ხვალისთვის გადავდებ, დღევანდელი დღე სალომესია ! ! !

I V ს უ რ ა თ ი

(ლაშასთან სახლში)

სალომე: ლაშა, ლაშა, ლაშა . . .
ლაშა: რა მოხდა ? რას კივიხარ სალო ?!
სალომე: მგონი დავითანხმე ის დებილი . . .
ლაშა: რა დაითანხმე ? ვინ დებილი ?
სალომე: დღეს 6 საათზე უჩას ვხვდები HARD ROCK CAFÉ-ში და საფიქრად ბევრი დრო გექნება. მეეჭვება ჩემს გვერდზე შენზე იფიქროს.
ლაშა: ჯიგარი ხარ სალო ეგრე გააგრძელე.
სალომე: მე მაგას ვასწავლი ჭკუას !
ლაშა: წადი ეხლა მოემზადე. საღამოს შეუდარებელი უნდა იყო!
სალომე: ეჭვიც არ შეგეპაროს ვიქნები ! (გადაკოცნის) ხომ დაგპირდი მე ამას შევძლებ-თქო ? ? ?
ლაშა: აბა შენ იცი პატარა !!!
სალომე: შენც ისარგებლე ამ შანსით. დღესვე უნდა გავიპაროთ. ხვალ რა იქნება ღმერთმა უწყის, ხო სულ დამავიწყდა მეთქვა უჩამ უწყის-თქო ! ჩვენი ღმერთი ხომ უჩაა, ჩვენ ბედს ხო ეგ ნაბიჭვარი წყვეტს ?!

V ს უ რ ა თ ი
(HARD ROCK CAFÉ)

(სალომე შედის და ათვალიერებს ხალხს, აინტერესებს რომელი უჩა)
უჩა: გამარჯობა სალი . . .
(სალომე შემოტრიალდება და გაოგნებულია, არაა რას გაუგებ ამ ქალებს, ყველა როგორ უყვარდებათ ერთი ნახვით)
სალომე: შენ ???
უჩა: მე უჩა ვარ ! სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.
სალომე: ჩემთვისაც !
უჩა: წამო ბართან დავჯდეთ. რას დალევ ?
სალომე: MARTINI BIANCO
უჩა: კაი გემოვნება გქონია !
(ბარმენს) ორი MARTINI BIANCO, გეთაყვა!
სალომე: იცი, მე სხვანაირი წარმომედგინე !
უჩა: ვა�ა, საინტერესოა მაინც როგორი?!
სალომე: მაპატიე ამ გამოთქმაზე და ,,ბებერი პროჟი”
უჩა: კაია თუ აზრი ოდნავ მაინც შეგეცვალა.
სალომე: რაღაც რო გთხოვო შემისრულებ ?!

უჩა: კი რასაც მთხოვ ყველაფერს !
სალომე: ლევანი მოკალი, გთხოვ ჩვენ მაინც ნუ გვახლებ ხელს, მიატოვე ამ პიესის წერა, გთხოვ ! ! !
უჩა: აუ დაიწყო . . .
სალომე: ხო რა სხვა პერსონაჟები შექმენი და ჩვენ ცხოვრებას შეეშვი.
უჩა: არა (შეჩერდება და იტყვის) კი (მეორდება ასე არა-კი, არა-კი, არა-კი, თითქოს სხვა აიძულებს ამის თქმას)
სალომე: გთხოვ გაგვიშვი, გვაცოცხლე ცოტა ხანი, იცი ჯერ რა ახალგაზრდა ვარ ?
უჩა: აუ მაგ სირობით თუ უნდა გამომიჭედო თავი მე წავედი. პაკა.
სალომე: უჩა გთხოვ.
უჩა: არა პატარავ!
სალომე: ვინაა შენი პატარა ? ? ?
უჩა: შენ ! ! !
სალომე: გგონია რაღან შენი პიესის გმირი ვარ, რაიმეში დაგემორცილები, შეცდი ძმაო ! მე და ლაშა დაუმორჩილებლობას გიცხადებთ შენ ანუ ბედისწერას !
უჩა: ემანდ არ დეეცე, შორს წახვალ ! შენ ჩემ ხელში ხარ !
სალომე: არა!
უჩა: გიბრძანებ მობრუნდე!
სალომე: აი არ მოვბრუნდები და შენ მოტრიალებას ვერ მაიძულებ დამპალო ნაბიჭვარო ! ! ! (მიდის)
უჩა: მაცადეთ რა გიყოთ ! ! ! ორივეს მოგსპობთ, გაგანადგურებთ, მიწასთან გაგასწორებთ !

V I ს უ რ ა თ ი
(ლაშას სახლში)

სალომე: ლაშა, ლაშა . . .
ლაშა: რა მოხდა ?
სალომე: ეხლავე უნდა გავიქცეთ ! სხვა გზა არაა !
ლაშა: რა�ა ?!
სალომე: უჩას ვეჩხუბე და დროზე თუ არ გავასწარით ჩვენც ლევანივით ბოლოს მოგვიღებს ! გავიქეცით.
ლაშა: კი მაგრამ სად ?
სალომე: გაინძერი ! არ ვიცი, სადმე უნდა გავაწროთ. წამო
ლაშა: მოვდივარ.
(ჯდებიან მანქანაში, სალომე მანქანას ქოქავს და . . . . .)

V I I ს უ რ ა თ ი

(უჩა სახლში)

უჩა: მიყურეთ რა გიყოთ თქვე დამპლებო, გაგანადგურებთ. (იღებს კალამს ხელში) აუ, სად იმალებით დროზე გამოდით რაა, ხო იცით მაინც გიპოვით, ჩემს ხელში ხართ უსუსურო მატლებო . (ეძებს და ვერ პოულობს) ნუთუ მართლა გაიქცნენ ? მათ ეს შეძლეს ! კი მაგრამ როგორ მათ ბედს ხომ მე განვაგებ ?! ნუთუ მათ დაუმორჩილებლობა თვით ბედისწერას გამოუცხადეს ?! ყოჩაღ (დებს კალამს და ტაშს უკრავს) ბრავოოოო, ბის (უსტვენს, უმატებს ტაშის კვრას და ცეკვავს

/ ფარდა /

I I მ ო ქ მ ე დ ე ბ ა
I ს უ რ ა თ ი

სალომე: (იცინის) ჩვენ ეს შევძელით, უჩას გავექეცით! (გადაეხვევა ლაშას) მაგრები ვართ.
ლაშა: ხო გითხარი ამას შევძლებთ-თქო ?
სალომე: ეს რა უცნაური ადგილია. სასაფლაოს გავს. მეშინია ლაშ
ლაშა: წამო გავიაროთ.
(დადიან, წააწყდებიან ჯულიეტას აკლდამას)
ლაშა: წამო შევიდეთ.
(რომეო უკანასკნელ მონოლოგს კითხულობს, ხელში საწამლავი უჭირავს)
ლაშა: პრივეტ ჩემი ძმა . . .
რომეო: თქვენ ვინ ხართ ჩემო ბატონო ?
ლაშა: ადამიანი რომელმაც თქვენი ისტორია იცის .
რომეო: რა ისტორია ?
ლაშა: ეხლა კარგად მისმინე ჩემი ძმა. ჯულიეტა მკვდარი არაა, პროსტა ძინავს. შენ მაგ საწამლავს დალევდი იასნია მე რო არა, ხოდა დაიბრიდებოდი, ამასობაში ესეც გაიღვიძებდა და მკვდარს რომ დაგინახავდა თავს მოიკლავდა, ასე რომ დაჯექი აქ წყნარად და დაელოდე როდი გაიღვიძებს.
რომეო: მომიტევეთ, მაგრამ საიდან მოიტანეთ ეს აბსურდი ?
ლაშა: დამიჯერე, არ გეკაიფები (გაიღვიძებს ჯულიეტა)
ჯულიეტა: რომეო . . .
რომეო: ჯულიეტა . . .
(გადაეხვევიან)
(ლაშა და სალომე დგანან ბედნიერები იმით რომ კარგი საქმე ჩაიდინეს. ამ დროს ისმის შექსპირის ხმა)

შექსპირი: გაეთრიეთ ჩემი პიესიდან ვინები ხართ ? საიდან იცოდით ფინალი ? ისე რა მნიშვნელობა აქვს. გაეთრიეთ თქვე საზიზღრებოოოოო !
ამდენი ვიწვალე ამ პიესაზე და თქვენმა გამოჩენამ ნაწვალები სულ წყალში გადამიყარა ! ყველაფერი თავიდან მაქვს შესაქმნელი !
(უღრიალებს) გაეთრიეეეეეეეეეეეეეეეეთ ! ! !
(სცენაზე ყველაფერი ტრიალებს, ბრუნავს, იცვლება)
სალომე: ლაშა, ლაშა . . .
ლაშა: გამაგრდი სალოოო . . .

I I ს უ რ ა თ ი

სალომე: ერინები, ერინები ___ შურისძიების ქალღმერთები ! არ მჯერა ! აგამემნონის სამეფოში ვართ ! ლაშა ნახე კლიტემნესტრა და ელექტრა !
ლაშა: აუ, ესღა გვაკლდა ! უჩას გამოვექეცით და ეხლა სხვადასხვა პიესებსი ვხვდებით ! ვერასდროს გავიქცევით ? ვერასდროს მივაღწევთ თავისუფლებას ?!
სალომე: ნახე ახალგაზრდა ორესტე ! რა ლამაზია !
ლაშა: გაჩე სალო მაგის დრო არაა ! ! !
სალომე: ამას ერინებისთვის ვერ გავწირავ ! მაპატიე ელექტრა ! (მიდის ორესტესთან)
სალომე: ორესტე !
ორესტე: რაღაც გეშლებათ, მე ორესტე არ ვარ !
სალომე: მითუმეტეს რა გინდა ამ დამპალ ქალაქში ?
ორესტე: რაღაცით მიზიდავს !
სალომე: ვერ ხედავ, რა ხდება ?! ეს ქალაქი განწირულია, მათ თავისი მეფე მოკლეს, ამიტომაც ასეთი სასჯელი მიიღეს ! წადი ყმაწვილო აქედან, გაეცალე აქაურობას ! ! !
ორესტე: კი, მაგრამ . . .
სალომე: არავითარი მაგრამ ! გაეცალე აქაურობას ! უბედურების მეტს არაფერს მოგიტანს ეს ქალაქი ! გაიქეცი ! თავს უშველე ! ! !
ორესტე: (შეტრიალდება და მიდის ქალაქიდან , უეცრად მობრუნდება) თქვენი სახელი, ქალბატონო . . .
სალომე: სალომე . . .
ორესტე: მადლობთ დახმარებისთვის და რჩევისთვის სალომეა (უგზავნის კოცნას და გარბის ქალაქიდან)
(სალომე დგას მეოცნებე სახით, უახლოვდება ლაშა)
(ისმის სარტრის ხმა)
სარტრი: ვიტომ რა იჩალიჩე გოგონი ? ორესტე გააქციე და მაგარი ხარ ? ჩემი პიესა არიე, თორემ თვითონ მითი ხომ არ შეგიცვლია ! არა უშავს ხელახლა დავწერ, ეგ

რა პრობლემაა ! ეხლა კი თუ შეიძლება მიბრძანდით ჩემი პიესიდა ! სალომეა ___ ფატალური სახელია, ლამაზი, მშვიდი, მძვინვარე და ფატალური კაცებისთვის ! ! ! მიბრძანდით, რას უყურებთ, ორივე წადით ! ! !
(სცენაზე ყველაფერი ტრიალებს, ბრუნავს, იცვლება)
სალომე: შემდეგი რა პიესა იქნება ?!
ლაშა: არ ვიცი, არ ვიცი სალომეა . . .

I I I ს უ რ ა თ ი

ლაშა: ორესტედან ანტიგონესთან, ნახე კრეონტი როგორ ეჩხუბება საწყალ გოგონას ? ანტიგონე რა მყარად დგას ?! არაა, მაგ საწყალ გოგოს ვერ მოვაკვლევინებ.
სალომე: ამ პიესიდანაც მოგვისვრიან ! ჰაჰაჰაჰაჰა ! წამო, წამო კრეონტი დავაბოლოთ !
(გაყავთ ანტიგონე, კრეონტი მარტო რჩება)
ლაშა: პრივეტ ჩემი ძმა
სალომე: Hi
კრეონტი: ვინ ხართ ? საიდან შემოხვედით ? ეხლავე წაეთრიეთ, თორე . . .
ლაშა: მუქარის გარეშე ! ჩვენ სხვა პიესის გმირები ვართ, პროსტა მაგარი დურაკული პიესა იყო და გამოვიქეცით და აქ მოვხვდით !
კრეონტი: რეებს ჩმახავთ ?!
სალომე: სიმართლეს ! ეხლა მოგვისმინე, თანაც კარგად ! მიდი ლაშა ! დაიწყე!
ლაშა: მოკლედ ანტიგონეს თუ მოკლავ შენი შვილი ჰერონი თავს მოიკლავს, ამას შენი ცოლი რომ გაიგებს ვერ გადაიტანს და ისიც მიაკვდება. ხოდა თუ გინდა ამდენი უბედურება დაატრიალო მიდი მოაკვლევინე, თუ არა და უბრძანე ანტიგონე გაუშვან.
კრეონტი: საიდან მოიტანეთ ამდენი სისულელე ?!
სალომე: არსაიდან უბრალოდ ბევრს ვკითხულობდით და ეს პიესაც წაკითხული გვაქვს !
ლაშა: ხო დამავიწყდა მეთქვა ჩვენ 21 საუკუნიდან გაწუხებთ !
სალომე: გაანთავისუფლე ანტიგონე ! ! !
ლაშა: გაანთავისუფლე ანტიგონე ! ! !
(ერთად) გაანთავისუფლე ანტიგონე ! ! !
კრეონტი: დაცვა, დაცვა ! ! !
(შემოდის დაცვა)
ჯარისკაცი: გისმენთ მეფეო !
კრეონტი: გაუშვით ანტიგონე !
ჯარისკაცი: კი, მაგრამ . . .

კრეონტი: (გააწყვეტინებს) არავითარი მაგრამ, ხომ გაიგონე რაც გითხარი ! გაანთავისუფლე და კიდევ რომც სცადოს ძმის დამარხვა, არ დავინახო ხელი შეუშალოთ ! გაიგე ?!
ჯარისკაცი: მესმის მეფეო, ეხლავე შევასრულებ თქვენს ბრძანებას !
(ისმის ანუის ხმა)
ანუი: ვინ ხართ ? რას ჩაერით ჩემ პიესაში ?! რატომ ამირიეთ ?! წაკითხული ხო გაქვთ? მერე ცუდია ისეთი, როგორიც დავწერე ! წაეთრიეთ რაა საიდანაც მოხვედით ! რატომ გამიხადეთ ზედმეტი საწერი. ოხ . . . წადით رااااااااااااا . . .
(სცენა ტრიალებს, ბრუნავს, იცვლება)
სალომე: მომბეზრდა ამდენ პიესაში მოგზაურობა .
ლაშა: ახლა არ მითხრა უჩა მომენატრაო ?
სალომე: მომენატრااااااა, თანაც ძალიან ! ! !
ლაშა: რას გაუგებ ამ ქალებს ?!

I V ს უ რ ა თ ი

სალომე: ეს რა უკაცრიელი ადგილია, არაფერი არ ჩანს ! არც სახლი, არც ქუჩა ! ! !
ლაშა: ნეტავ რომელ პიესაში ვართ ?
სალომე: წარმოდგენა არ მაქვს. წამო გავიაროთ, იქნებ რაიმეს წავაწყდეთ, ან ვინმეს!
ლაშა: ნახე აგურები და საშენი მასალა, აი ხის ფესვები და ჩასარგავი ყვავილები ! ! !
სალომე: ლაშა . . .
ლაშა: რა ხდება სალომე ?
სალომე: ჩვენ ეს შევძელით ! ჩვენ ეს შევძელით !
ლაშა: სალომე გაგიჟდი ?
სალომე: არა ! ლაშა თავისუფლები ვართ. ეს ჩვენი პიესაა ! ყველაფერი ჩვეინთ უნდა ავაშენოთ და შევქმნათ ! VIVA ! თავისუფლები ვართ ! აქ დრამატურგებიც, პერსონაჟებიც და რეჟისორებიც ჩვენ ვართ ! ჩვენ ლაშა ! თავისუფლებას მივაღწიეთ!
ლაშა: ხომ გეუბნებოდი ამას შევძლებთ-თქო ! (გადახვევს ხელს) ხო მართლა იცი რას ვფიქრობ სახლს წინ დიდი ეზო გავუკეთოთ . . .
(გადიან)

V ს უ რ ა თ ი

ანი: (შემოდის) ჩაი მოგიტანე ძვირფასო .
გიორგი: მადლობ საყვარელო

ანი: რატომ აღარ წერ ?
გიორგი: გავუშვი
ანი: . . . . . .
გიორგი: კარგად ითამაშეს თავისი როლი და გავუშვი. უფლება მივეცი გაქცეოდნენ ბედისწერას !
ანი: უჩა ?!
გიორგი: უჩა დავტოვე, მაგ დებილს ხვალ მოვუვლი, თავი უფროსი რომ ეგონა.
ანი: კი თავიდან ცუდად იქცეოდა, მაგრამ ბოლოს უძლიერესად დაამთავრა თავისი როლი ! ! ! გაუშვი რაა, ჩემი ხათრით . . .
გიორგი: არაااა, უკეთესად შეეძლო თამაში !
ანი: კარგი ეხლა დაიძინე და მაგაზე ხვალ იფიქრე !

V I ს უ რ ა თ ი

უჩა: დილა მშვიდობისა სალომე . . .
სალომე: უჩა ?! მე შენ დრამატურგი მეგონე.
უჩა: თურმე მეც პერსონაჟი ვყოფილვარ . . . (გადაეხვევა) მაპატიე სალომე !
სალომე: წამო, ეგ ხომ წარსულია. ხო ისე სახლი რა ფრად შევღებოთ ?
(გადიან)

V I I ს უ რ ა თ ი

გიორგი: ანი, ანი, ანიიიიიიიი . . .
ანი: რა მოხდა ?!
გიორგი: უჩა, უჩა სადაა ?!
ანი: აბა მე რა ვიცი ! ! ! (მხრებს აიჩეჩავს)
გიორგი: გმადლობ ! ! !
ანი: რისთვის ?!
გიორგი: ეხლა მაინც მივატოვებ ამ წყეული პიესის წერას ! გახსოვს როდის დავიწყე ?!
ანი: დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ !
გიორგი: (დახედავს კალენდარს) მას შემდეგ ზუსტად ერთი წელი გავიდა, ერთი წელი ! რაზე მოვცდი ? ? ?
(აიღებს ქაღალდებს, დახევს და გადაყრის. ჯდება სავარძელში, ანი თავზე ადგას)
გიორგი: მორჩა, გათავდა, FINITA LA COMEDIA ! ! !

ანი: ნეტა ჩვენ ვისი პიესის პერსონაჟები ვართ, გიო ?

/ ფარდა /